



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასათიანი ნინო ლევანის ასული

ასათიანი ნინო ლევანის ასული (დ. 1. VIII. 1935, თბილისი), არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე. დაამთავრა საქართვე. პოლიტექ. ინ-ტი (1959). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1984). ავტორია ქალაქთგეგმარებითი განხორციელებული პროექტებისა: თბილისის „თემქის“ მიმდებარე ტერიტორიის (1961–64; ა. ჯიბლაძესთან ერთად), ნავთლულის სამრეწვ. რ-ნის (1964; ი. კოჩინევასთან ერთად) დაგეგმარება-განაშენიანება და სხვ.

გამოავლინა და მეცნიერულად შეისწავლა მრავალი ახ. მასალა 20–30-იან წლებში საქართველოს ქალაქების (პირველ რიგში თბილისის) განვითარების, დაგეგმარებისა და განაშენიანების შესახებ და გამოაქვეყნა მონოგრაფიული ნაშრომი ამ საკითხებზე. 1973-იდან მუშაობს ქართული ხელოვნ. ისტ. ინ-ტში. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა და კრიტიკული სტატიებისა უახლესი და თანამედროვე ქართ. არქიტექტურის სხვადასხვა საკითხზე. 1986–90 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სამხატვრო აკადემიაში.

თხზ.: Грузинское советское градостроительство 1920 – 30-х годов. Тб., 1989.

ს. კინწურაშვილი
